

## ინვესტორს არანაირი მშენებლობის ნებართვა არ აქვს - ფერაძე ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობაზე

„ლიბერალი“

ახალი ამბები / საზოგადოება

21 იანვარი, 2019 13:34



მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლის, ნატა ფერაძის თქმით, კომპანიას, რომელიც ვაკის პარკში მშენებლობას აპირებს, მშენებლობის უფლება არ აქვს. მისი თქმით, ინვესტორს მშენებლობის ნებართვა 2016 წელს ამოეწურა.

ფერაძის თქმით, თბილისის მერის განცხადებების მიხედვით ჩანს, რომ მერია არ არის საქმის კურსში და კალაძის განცხადებები არის „ან შეცდომა ან ტყუილი“.

„გუშინ ვუსმინე კალაძის განცხადებას. როგორც ჩანს, კალაძე არ არის საქმის კურსში, რადგან მან თქვა, რომ ინვესტორმა მოიგო მშენებლობის უფლება. ეს არის შეცდომა ან ტყუილი. ჩვენ გავასაჩივრეთ გიგი უგულავას მიერ დაწყებული სპეციალური ზონალური შეთანხმება, რაზეც სასამართლომ დიდი ვარაუდით უკანონოდ და კორუფციული გარიგებით განაცხადა, რომ ეს იყო დაშვებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშენებლობის უფლება აქვთ. მშენებლობის უფლება ინვესტორს ამოეწურა 2016 წელს და ყველა კანონით, მერია ვალდებულია, ახლიდან გასცეს ნებართვა, ახლიდან განიხილოს პროექტი. ინვესტორს არანაირი მშენებლობის ნებართვა არ აქვს“, ამბობს ნატა ფერაძე.

ნატა ფერაძის თქმით, იმ შეხვედრაზე, რომელიც მერიასა და ინვესტორს შორის გაიმართა, უნდა ყოფილიყვნენ აქტიური მხარის წარმომადგენლები „პარტიზანი მებაღეები“ და სხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ვაკის პარკში მშენებლობას აპროტესტებდნენ. მისივე თქმით, თუ გაიცემა ისევ მშენებლობის

ნებართვა, ისინი აუცილებლად შეუშლიან ფიზიკურად ხელს.

„ჩვენ მზად ვართ, გავაპროტესტოთ ისევ იმავე მეთოდებით უკანონო მშენებლობა.“ - თქვა ნატა ფერაძემ

ნატა ფერაძის თქმით, აქტივისტების, სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნაა, რომ მერიამ კომპანიას გაუკეთოს ადგილმონაცვლეობა ან გამოისყიდოს ტერიტორია ადეკვატურ ფასად.

ნატა ფერაძის თქმით, დაინტერესებული მხარეები - „მწვანე ალტერნატივა“, „ინიციატივა საჯარო სივრცისთვის“ და „პარტიზანი მეზალები“ გამოთქვამენ სურვილს, რომ შეხვდნენ მერიის წარმომადგენლებს და ამ შეხვედრის მოთხოვნით განცხადებას შეიტანენ ქალაქის მერიაში.

---

დღეს თბილისის მერიაში გაიმართა შეხვედრა თბილისის მერიისა და „სასტუმრო ბუდაპეშტის“ წარმომადგენლებს შორის.

„რეალობა არის ის, რომ მერია არის საზოგადოების მცირე ნაწილის ბენოლის ქვეშ. გადასულები არიან ძველებურად, ხელების გადაგრეხვაზე. ნარმანიას შემდეგ იმავეს აკეთებენ ესენიც“, - ამის შესახებ „სასტუმრო ბუდაპეშტის“ წარმომადგენელმა, გიორგი ბაქაიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მერიამ მათ პატარა რესტორნის მშენებლობა, ან ადგილმონაცვლეობა შესთავაზა. ბაქაიძის თქმით, მათ არც სურვილი აქვთ მონაცვლეობის და არც სხვა რამის.

**ამავე თემაზე:**

**მერია საზოგადოების მცირე ნაწილის ბენოლის ქვეშაა - „სასტუმრო ბუდაპეშტის“ წარმომადგენელი**

---

თბილისის ვიცე-მერის, ირაკლი ხმაღაძის განცხადებით, ისინი „სასტუმრო ბუდაპეშტის“ დამფუძნებელთან ადგილმონაცვლეობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

**ამავე თემაზე:**

**ვიცე-მერი: „სასტუმრო ბუდაპეშტის“ დამფუძნებელთან ადგილმონაცვლეობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ**

---

შეახსენებთ, რომ სასამართლომ ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივის“ საკასაციო საჩივარი განსახილველად არ მიიღო.

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, გაუქმდა გადაწყვეტილება ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის შეჩერების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს ბათილად ჰქონდა ცნობილი განკარგულება ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობისათვის სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.